



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივითილება
ქ. თბილისი



MES 9 22 0001180398



28/09/2022

**შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ**

2022 წლის 12 სექტემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს საქართველოს უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის - №1004486, 06/09/2022; ხარვეზის გამოსწორება - №1057404, 12/09/2022; №1057419, 12/09/2022) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს № 868258, 02/08/2022 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.


2022 წლის 20 სექტემბერს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28¹ - ე მუხლის პირველი, 27⁵ - ე მუხლის პირველი და 28³ პუნქტის პირველი პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე დებულების 28³ - ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. განსახილველად იქნას მიღებული შპს საქართველოს უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (№1004486, 06/09/2022; №1057404, 12/09/2022; №1057419, 12/09/2022) „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.
2. სააპელაციო საბჭოს 2022 წლის 20 სექტემბრის სხდომის №1177045, 28/09/2022 ოქმი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

